რედაქცია: ფრეილინის ქუჩა, № 13. ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 1„ საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან. თითო ნომერი 3 კაპ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

ადრესი Тифлисъ, Фрейлинская № 13 Редакція „Цнобисъ Пурцели".

## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—2 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ჟ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ф. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ф. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინიგანი და კანისა.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკ ნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 13 ნოემბერს 1896 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან, ქალბ. საფაროვ-აბაშიძისა და ვ. აბაშიძის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქნება:

I

ბედნიერი დღე

კომ. 4 მოქ. თარგ. ვ. აბაშიძისა.

II

მშვენიერ ელენეს მაძიებელნი

ფარსი 2 მოქ. გადმოკ. ცაგარლისაგან.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. საფაროვ-აბაძიშისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელისა, ივანიძისა; ბ.ბ. აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე და სხვა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი: ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ადმინისტრატორი კ. შათირიშვილი.

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან").

9 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: სტატს სეკრეტარს ტაინი სოვეტნიკს საბუროვს უმაღლესად ებრძანა უმართებულესის სენატის მეოთხე დეპარტამენტის თავმჯდომარედ იყოს,

ი. კ. აივაზოვსკიმ გაუგზავნა სასახლის მინისტრს ხელმწიფე იმპერატორისათვის მისართმევად სურათი ალექსანდრე მესამის ძეგლისა ფეოდოსიაში. როგორც უკვე გამოცხადებულია, იმპერატორის ალექსანდრე მესამის ძეგლს აკურთხებენ ფეოდოსიაში 14 ნოემბერს.

**ტულა.** სამოქალაქო ბაღში უწესოების ჩამდენთ მიუსაჯეს: ორს—ჩამორთმევა ყოველგვარ უფლებათა და პატიმართა როტაში გაგზავნა ერთის წლით; ერთს—5 თვითა და 10 დღით დაპატიმრება ციხეში: ერთს—8 თვით, ოთხს—ოთხის თვით, და სამს—ორის თვით დაპატიმრება ციხეში; სამი გაამართლეს. მანიფესტის ძალით 7 კაცი გაანთავისუფლეს სასჯელისაგან.

**ბელგრადი.** მეფე ვენაში წაბრძანდა და დროებით სახელმწიფო მართვა მინისტრთა საბჭოს ჩააბარა.

**პეტერბურგი,** 8 ნოემბერს. უმართებულესმა სენატმა გამოაცხადა დაწვრილებით დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომლითაც საკასაციო საჩივარი ოლღა პალემის დამცველისა ნაფიც ვექილის კარიჩევსკისა უნდა დარჩეს უყურადღებოდ სისხლის სამართლის 1 პუნკ. 912 სტატ. ძალით.

**მოსკოვი.** მეხუთე ქანდრაკის თამაშობაში ვერავინ ვერ მოიგო.

**ლონდონი.** „Daily Nevs"-ის სიტყვით პასტორი მაკ კულუმი, როდესაც იგი მარაში დაზარალებულთ ფულს ურიგებდა, დაპატიმრებულ და წაყვანილ იქმნა სტამბოლში ოსმალეთის პოლიციის მიერ.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ. კ. ი. მუხრან-ბატონმა მიულოცა სახელწოდების დღესასწაული მათ იმპერატორებითს უდიდესობას დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს. დიდმა მთავარმა კეთილ ინება შემდეგის საპასუხო დეპეშის მოწერა:

„გულითად მადლობას უძღვნი ქართველ თავად-აზნაურობას და თქვენ მოლოცვისა და კეთილის სურვილისათვის". „მიხეილი".

თავადმა მუხრან-ბატონმა ასეთი დეპეშა გაუგზავნა:

პეტერბურგი. მათ იმპერატორებითს უდიდესობას დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს.

„თავად-აზნაურობა და მე მოულოცავთ თქვენს უდიდესობას სახელწოდების დღეს და ვევედრით უფალსა თქვენს დიდხანს სიცოცხლეს და კარგათ ყოფნას".

„თ. კ. ბაგრატიონ მუხრან-ბატონი"

*** პეტერბურგიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მთავრობას ნება დაურთავს ტფილისში გაიმართოს დინამიტისა და თოფის წამლის საწყობი. („ნოვ. ობოზრ.").

*** ორშაბათს, 11 ნოემბერს, ტფილისის ქალაქის საბჭო სხვათა შორის განიხილავს შემდეგ საქმეებს: მოხსენება ქალაქის გამგეობისა შესახებ ვერის ხიდის შემოსავლის იჯარით გაცემისა; მოხსენება ქალაქის მოურავისა შესახებ იმისა, რომ არჩეულ იქმნას სამუდამო კომისიები, რომელთაც ჩაბარდება ყურის გდება სახლის ასაშენებელ წესდებათა და სასანიტარო წესებისა; მოხსენება საგანგებო კომისიისა შესახებ ქუჩებისა და მოედნების განათებისა; მოხსენება გამგეობისა შესახებ საჭირო ფულის გადადებისა „ცნობათა და მოხსენებათა" დასაბეჭდად; მოხსენება გამგეობისა შესახებ იმისა, რომ გადადებულ იქმნას ფული ქალაქის ქონებათა დამფასებლებისათვის; მოხსენება ქალაქის მოურავისა შესახებ იმისა, რა ჯამაგირი დაენიშნოს გამგეობის მეოთხე წევრს; მოხსენება ქალაქის მოურავისა შესახებ ქალაქის თხოვნისა, რომ დარჩენილი დასაფასებელი გარდასახადი 20,000 მანათი ეპატიოს ქალაქს.

ამავე კრებაზედ დანიშნულია არჩევანები გამგეობის მეოთხე წევრისა.

*** 7 ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, ერთი აფიცერი ცხენით დაეჯახა ალექსანდრე ილჩენკოს, რომელიც ძლიერ დაშავდა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გარდაიცვალა. ეხლა გაიგეს, ვინ იყო ის აფიცერი და პასუხის გებაში მისცეს.

*** ქალაქის სასანიტარო ნაწილის საყურადღებოდ. ქალაქის თვით-მმართველობის უმთავრესს მოვალეობას, რასაკვირველია, ქალაქის მკვიდრთა ჯან-მრთელობისათვის ზრუნვაც შეადგენს. ამ მხრივ ყოველ დღე ტფილისის გაზეთებში და საზოგადოებაშიაც თვით-მმართველობისადმი სამდურავი ისმის და უნდა გამოვტყდეთ, სამართლიანადაც რადგან ვერავინ იტყვის, რომ ჩვენი ქალაქის გამგეობა თავისს მოვალეობას კარგად ასრულებდეს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს სამდურავი რჩება «ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა": ყველგან უწმინდურებაა და ქალაქში ათასგვარი სენიც ვრცელდება და ძლიერდება. ეხლაც გვსურს ერთს გარემოებაზედ მივაქციოთ ყურადღება, ვისიც ჯერ არს, თუმცა საეჭვოა, რომ ამ ჩვენმა შენიშვნამ გასჭრას, რადგან ჩვენი ქალაქის გამგეობა მეტად მძიმედ ირჯება.

იარმუკაზედ, ბაყლების და ყასბების დუქნების გვერდით, სადაც მუდამ მრავალი ხალხი დაიარება, ყოველგვარი ძველი და ნახმარი ნივთები ისყიდება: ქვეშაგები, საბნები, ბალიშები, მუთაქები, ტანთ-საცმელი და სხვ. ყველა ეს სიძველის გარდა ძალიან გაჭუჭყიანებულია. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ეს ნივთები ბევრჯელ სხვა-და-სხვა გვარ გადამდებ ავადმყოფობით: ქლექით, საოფლით და სხვ., მიცვალებულის

ნახმარი ნივთები არიან ხოლმე. რაღა თქმა უნდა, რომ ამ ნივთებთან ერთად ქალაქში სხვა-და სხვა სენიც ვრცელდება.

საჭიროა, ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და სავალდებულოდ დადგენილ იქმნას, რომ ზემოდ აღნიშნულ ნივთებს, ვიდრე ბაზარში გასასყიდად გატანილ იქმნებიან, შესაფერი დეზინფექცია ჰქონდეთ გაკეთებული ქალაქის სადეზინფექციო კამერაში, და თუ ამ კამერისაგან დადებული ნიშანი არ ექნება ყოველს ნივთს,—მისი გაყიდვა აღკრძალულ იყოს. ამით ხალხის ჯანმრთელობისათვის საშიშარი გარემოება ცოტა არ იქმნას. თავიდან აცილებულ იქნება და ქალაქსაც ცოტაოდენი შემოსავალი მოემატება. ამით შეამცირებს ხარჯსაც სადეზინფექციო კამერისას, რადგან ყოველის ნახმარის ნივთის დეზინფექციისათვის, რომელიც გასასყიდად იქნება დანიშნული, შეიძლება მცირე გარდასახადი დაინიშნოს.

*** ქართველთა საალებ-მიცემო „შუამავლის“ დროებით გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მის აგენტებად დანიშნულნი არიან: 1) ყვირილაში და ქუთაისში—კოსტანტინე ივანეს ძე ღლონტი, და 2) ოზურგეთში და ბათომში—მოსე ოქროპირის ძე ურუშაძე.

*** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას შესწირეს:

1, პეტრე მირიანაშვილმა—2 ნაჭერი ძველი სპილენძის ფული. 2, სპ. მთვარელიშვილმა—3 ნაჭერი ძველი სპილენძის ფული. 3, მღ. სეით გამრეკელმა—1 ნაჭერი ძველი ქართული ფული და ერთი ძველი ქინძისთავი.

4, სოლომონ კიპრიზოვმა—44 ნაჭერი ქართული და სხვა ძველი სპილენძის ფული.

5, მღ. ალექსანდრე მოლოდინოვმა—134 ნაჭერი ძველი სპილენძის ფული.

6, ად. თულაშვილმა—1 ქართული ორაბაზიანი.

7, ერმალო ჯაფარიძემ—ხელთნაწერი გრამატიკა.

8, ელისაბედ გრიგ. საგინაშვილისამ—ერთი ძველი სიგელი.

9, ილია ჰყონიან—ორი ძველი სიგელი.

10, ივანე გომელაურმა—1 ხელთნაწერი წიგნი „ისტორია ალექ ანდრე მაკედონელისა“.

11, გრიგოლ კვალიაშვილმა—1 ხელთ-ნაწერი წიგნი „წამება და მოქმედება წმ. გიორგისა“.

12, ად. ფალავანდიშვილმა—ხელთნაწერი გრამატიკა ანტონ კათოლიკოზისა.

13, ივ მაჰავარიანმა—Записки Кавк. Отд. Имп. Рус. геогр. Общества, кн. XVII, ატლასითურთ.

15, ბ-ნმა კობალაძემ—მის მიერ მოგროვილი თორმეტი მანათი, და ექვის შაური.

და 16, სოფ. ხაშმის სცენის მოყვარეთა—ერთი თუმანი.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

*** ბორჩალოს მაზრის სოფ. მირცის მცხოვრები ხაჩატურ აკოფოვი ერთს დღეს გასულა სახლიდგან და შინ აღარ დაბრუნებულა. ნათესავებმა დაუწყეს ძებნა და აკოფოვის გვამი იპოვნეს სოფლის ახლოს, ხევში. თურმე ვიღაცას ცული დაეკრა თავში და მოეკლა.

მოკლულის დედამ განაცხადა, რომ აკოფოვი თავის ცოლმა მოჰკლა იმავე სოფლის მცხოვრების მარტიროს მელქონიანცის დახმარებით და თან დასძინა: ცოლს ქმარი ეჯავრებოდა და ეს მელქონიანცი უყვარდაო. („კავკაზი“).

*** დუშეთის მაზრის, სოფ. ბაზიდგან შემდეგ ცნობებს იწერებიან ბ-ნ კეზელის მოსამსახურეთა მიერ აზნაურის ბარალი თეიმურაზის ძის შაბურიშვილის მოკვლის შესახებ. დავით კეზელსა და შაბურიშვილს დიდი ხანია ერთმანერთში უსიამოვნება ჰქონდათ საბალახოს თაობაზედ. 31 ოქტომბერს, დილით, შაბურიშვილმა დაიჭირა ამ საბალახოზედ კეზელის ექვსი ღორი და წარეკა. იმავე დღეს ეს ღორები დაჰკლეს და ხორცი ღორების დამჭერთ გაიყვეს. გახელებულ შაბურიშვილებმა საღამოთი გამართეს ვახშამი, ღორის წვადებს შეექცნენ და შუაღამისას დაიშალნენ. ბარალი შაბურიშვილი და მისი თოთხმეტის წლის შვილი კონსტანტინე სახლში წავიდნენ. გზა ისე ჰქონდათ, რომ კეზელის სახლის მახლობლად უნდა გაევლოთ. მის საბძელს რომ მიუახლოვდნენ, თავს დაეცა ორი კაცი ბ-ნ კეზელისა—სანდრო ტახაროშვილი და იდამ მელადი და იმ წამსვე თოფები დაუშინეს მიმავალ შაბურიშვილებს, მამა მოჰკლეს და შვილი დასჭრეს.

პოლიციამ შეიპყრა მკვლელები და გამომძიებელს გადასცა. („კავკაზი“.)

*** 8 ნოემბერს ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში აკურთხა სახლის ეკკლესია, იუნკერთათვის მოწყობილი, ყოვლად სამღვდელო ეგზარხოსმა საქართველოსამ თანადასწრებით უმაღლესის სამღვდელოებისა და იუნკერთა სკოლის საღმრთო სჯულის მასწავლებლისა. კურთხევას დაესწრნენ გრაფი ტატიშჩევი, კავკასიის კორპუსის კამანდირი თ. ამილახვარი და სხვა მრავალი გენერლობა. სამოქალაქო უწყებიდამ დაესწრნენ: მზრუნველი სამოსწავლო ოლქისა კ. ზ. იანოვსკი, ზავადსკი და სხვ. შემდეგ კურთხევისა ეგზარხოსმა წარმოსთქვა გრძნობით აღსავსე სიტყვა მაზედ, თუ რა მნიშვნელობა აქვს სამხედრო ძალას სახელმწიფოში, იმ ძალას, რომლის მფარველობის ქვეშ მხოლოდ შესაძლებელია მშვიდობიანი ცხოვრება და წარმატების გზაზედ სვლა ყოველის ერისათვის.

სოხუმი: ცხრა თვე შესრულდა, რაც სოხუმის მომავალ თვით-მმართველობისათვის ხმოსნები აირჩიეს. მაგრამ ამ არჩევნების დამტკიცებას არა ეშველა-რა. არც თუ იმას გვეუბნებიან, უკანონოა ეს არჩევნებიო. თუმცა ბათომის გაზეთი ამბობს, დაირღვევა თებერვლის არჩევნებიო, მაგრამ ეს მხოლოდ სურვილია ამ გაზეთისა. აქ, სოხუმში-კი, ადმინისტრაციას ჯერ არავითარი ცნობა არა აქვს ამ არჩევნების ბედ-იღბლის შესახებ. ამბობენ, თუ დაირღვა ეს არჩევნები, მიზეზად ის გაუხდება, რომ არჩეულ ხმოსანთა რიცხვში უმეტესობა მეგრელებიაო.

*** ქსნის ხეობიდან გვწერენ: მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდენ ახალგორის ზევით მთაში მცხოვრებნი? იმათთვის არსად მიწის მოსავალია, არსად გზა, არსად კვალი. ნამეტან წელს, გაზაფხულ-ზაფხულის წვიმებმა ზოგან ქვეითად გასავალი ბილიკიც კი მოსპო და ისე შეავიწროვა მთაში მცხოვრებნი, რომ დიდის ვაებით, გარდა ურმით შეშის ზიდვისა—ცხენით ბარიდან ჰირნახულის აზიდვისა—შეუძლებელად ჰყო ქვეითად სიარული და,—ბევრ მთიულს დააფრქვევინა მწარე ცრემლი: ნამეტან ახლა სამხედრო ბეგრის გარდახდის დროს.

ეხლა მით უფრო საჭირო იყო ყურადღების მიქცევა გზის უქონლობისათვის, რომ 24 წარსულ თვეს მთიული მთის ხალხი თავმოყრილი უნდა ყოფილიყო სოფ. ახალგორს სამხედრო ბეგრის გარდასახდელად. ხოლო გზის უქონლობამ (და მთაში თოვლის მოსვლის გამოც) შეუძლებელ ჰყო ყველას გამოცხადება. იმით ბევრი უბრალო მთიული იქნა პასუხის გებაში მიცემული დროზედ გამოუცხადებლობის გამო.

სამხედრო საქმეების გარჩევამ გასტანა სამ დღეს; ყველასთვის კარი ღია იყო და სამხედრო „პრისუტსტვია“ დიდის გულმოდგინებით არჩევდა საქმეებს,

წლეულის ბეგარაზედ გაწვეული იყო 121 კაცი, რომელთა შორისაც 24 ხვდათ კენჭი. ერთი მესამე ხარისხის მექონე წავიდა ბეგრის გარდასახდელად იმ მიზეზით, რომ საბადლო მისი დროზედ ვერ იქმნა მოყვანილი გზის შეკვრის გამო. არ იქნება ურიგო ადგილობრივმა პოლიციამ სასტიკი ყურადღება მიაქციოს მთის გზებს მცხოვრებთა ეკონომიურ მდგომარეობის განსაძლიერებლად და რომ მთის ხალხი სამხედრო ბეგრისათვის იქნას დროზედ თავმოყრილი გაუჭირებლად.

*** ს. სკრა: 2 ნოემბერს აქ მოხდა ერთი მკვლელობა. საქმე იყო ასე: ს. სკრაში მოდიოდა გორის კამანდის ჩაფარი ტემო კაბულაშვილი და გზაზედ შეხვდა ორი ოსი, რომელნიც მორეკავდენ სამს ღორს. ჩაფარმა რაღაცა ეჭვი აიღო და მოსთხოვა მოწმობა; იმათ უთხრეს, რომ მოწმობა არა გვაქვსო; მაშინ კაბულაშვილმა აცნობა ს. სკრისავე მამასახლისის თანაშემწეს, რომელმაც ოსები შეიპყრო და ჩაამწყვდია ერთს გომურში. ამ დროს კაბულაშვილი ჩავიდა გომურში ლამპარით, რომელიც გომურში უნდა აენთო; ანთების დროს ოსმა ჯიბო კაკაშვილმა ამოაძრო თავის შვილს გრიშკას ხანჯალი და მუკელში დასცა კაბულაშვილს, რომელიც იმ წამსვე გარდაიცვალა. მკვლელები გამოცვივდნენ გომურიდგან და გაიქცნენ, მაგრამ მეორე დღეს ურიადნიკმა რ. ჩოჩიევა დაიჭირა.

შარშანდელი წყალდიდობისაგან დანგრეულს ამილახვრიანთ ხიდს, წმინდა წყალზედ, ეხლა ისევ აშენებენ. ამოყვანილია ბურჯები და ამ ცოტა ხანში სულ მზად იქმნება.

## პოლიციის მატიანე

### სამაზრო

2 ნოემბერს, შუაღამისას, თიანეთის მაზრის სოფელ ახმეტაში ცეცხლი წაეკიდა ერთს ღვინის სარდაფს. დიდის ქარის გამო ცეცხლი გადავიდა სხვა სახლებზედაც და დაიწვა ოთხი სახლი.

2 ნოემბერს სოფ. ვაზიანის ახლოს ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი დაეცნენ საგარეჯოს მცხოვრებლებს, ილიკო ხიტაშვილს, ივანე მარტიაშვილს და სხვებს. მარტიაშვილმა თოფი ესროლა ავაზაკებს და ერთი მათგანი მოჰკლა. მოკლული აღმოჩნდა ტფილისის მაზრის, სოფელ თაქლას მცხოვრები ხიდირ-ოღლი.

1 ნოემბერს თიანეთის მაზრის სოფელ ახმეტას მცხოვრებმა სოსია შოშიაშვილმა დანით ყელი გამოიჭრა. მიზეზი თავის მკვლელობისა დიდის ხნის ავადმყოფობა ყოფილა.

## რკინის გზის ამბები.

8 ნოემბერს ბათომიდგან მომავალი მატარებელი საქონლის სადგურზედ არ გაჩერდა, თუმცა ყოველთვის კი ჩერდება ხოლმე ამ სადგურზედ. ამის გამო, ვისაც ასვლა უნდოდა მატარებელზედ, როგორც უნდოდა, ისე უნდა მოეხერხებინა. მატარებელს ბევრი შეახტა, მაგრამ ერთმა გურულმა ეს ვერ მოახერხა, მატარებლიდგან გადმოვარდა და ძლიერ დაშავდა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Ноября, 1896 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ფალ. გუნია